## გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!



# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(150) 2017 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

## „გვიხმობს ზარი სექტემბრის...“







მოსწავლეთა მოლოდინში
ჩამყუდროებულები





## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

### 21 აგვისტო, 2017 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე <u>ცისმარ თედიაშვილი</u>*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა <u>თინათინ ძაბილაშვილმა.</u>***

დღის წესრიგის II საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა ხათუნა ყორღანაშვილმა***. როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ექვსი თვის ანგარიშის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 81 %–ით (გეგმა 4193.5 ათ.ლარი, ფაქტი 3415.1 ათ.ლარი), საკუთარი სახსრები 69%-ით, (გეგმა 19.1 ათ. ლარი, ფაქტი 13.2 ათ. ლარი).

საგასავლო ნაწილი საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 95%–ით (გეგმა 4295.8 ათ. ლარი, ფაქტი 4080.1 ათ.ლარი); საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 98%-ით (გეგმა 3880,6 ათ. ლარი, ფაქტი 3791.8 ათ. ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 78%-ით (გეგმა 43.7 ათ. ლარი, ფაქტი 34.3 ათ.ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 94%-ით (გეგმა 97.1 ათ.ლარი, ფაქტი 90.9 ათ. ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 56%-ით (გეგმა 244.5 ათ. ლარი, ფაქტი 138.3 ათ.ლარი).

ამასთან აღვნიშნავთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებული იქნა 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებით (სარეგისტრაციო კოდი №190020020.35.165.016256), 2017 წლის ექვს თვეში 3-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა.

ცვლილება შეეხო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც შემოსავლებს, ასვე გადასახდელების ნაწილს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 2014.7 ათ.ლარით და შეადგინა 10 633.3 ათ.ლარი. კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017წლის 6 თვის შემოსულობები გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის 480 განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2 014 670 ლარით.

გადასახდელები გაიზარდა 3883.7 ათ.ლარით და შეადგინა 12 502.3 ათ.ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის 480 (ცვლილება განკ№569) განკარგულებით 2017 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან:

1)ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 1 251932 ლარი. კერძოდ:

ა) სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა 797200 ლარი;

ბ)სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა 233246 ლარი;

გ)სოფ.პატარძეულში „შიოს უბანში“ გზის მოასფალტება 201817 ლარი;

დ)ქ.საგარეჯოში „სიყვარულის ხიდის“რეაბილიტაცია, თამარ მეფის და ერეკლე მეორეს ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა 11049 ლარი.

ე)ქ.საგარეჯოში ერისთავის ქუჩის ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 8620 ლარი.

2) განათლების ხარჯებში დაემატა 270264 ლარი;

კერძოდ დაფინანსდა სოფ.ნინოწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

3)სპორტული მოედნების მოწყობა- რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 492 474 ლარი; კერძოდ დაფინანსდა ქ.საგარეჯოში სტადიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მთავრობის განკარგულების შესაბამისად ცვლილება მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების 5%-ით თანადაფინანსებისთვის: 1)ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში დაემატა 64858 ლარი; 2) განათლების ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში დაემატა 14225 ლარი; 3) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში დაემატა 144 262 ლარი. რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 373 692 ლარია გათვალისწინებული.კერძოდ, საგარეჯოში „სიყვარულის ხიდის“ რეაბილიტაცია, თამარ მეფის და ერეკლე მეორეს ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა-209915 ლარი და ქ.საგარეჯოში ერისთავის ქუჩის ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 163777ლარი. სულ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის 569 განკარგულების მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა და გაიზარდა ხარჯები 597037 ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში ასევე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის 265 განკარგულებით 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან დაემატა ნაშთი 299940.82 ლარი.

1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში 46.3 ათ.ლარი

2. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში-107.7 ათ.ლარი.

3. გარე განათების მოწყობის ხარჯებში 32.9 ათ.ლარი.

4. კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების ხარჯებში 27.5 ათ.ლარი.

5. სანიაღვრე არხების აღდგენის ხარჯებში 20.5 ათ.ლარი.

6. სკვერების, ბაღების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაციის ხარჯებში 0.6 ლარი.

7. სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით ხარჯებში 59.9 ათ.ლარი.

8. განათლების ხარჯებში 0.6 ლარი.

9. სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებში 3.7 ათ.ლარი. ასევე გადასახდელებს წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას დაემატა 2607 ლარი ვალდებულებებიდან დარჩენილი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის 506 განკარგულებით 2015 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 1იანვრისთვის არსებული ნაშთი 38160,96 ლარი დაემატა:1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში-1.9 ათ.ლარი. 2) ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ხარჯებში 1.4 ათ.ლარი.3) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა- შენახვის ხარჯებში 10,6 ლარი. 4) გარე განათების მოწყობის ხარჯებში 4.5 ათ.ლარი. 5)კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების ხარჯებში 11.9 ათ.ლარი. 6) სანიაღვრე არხების აღდგენის ხარჯებში 1.0 ათ.ლარი, 7)სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით 2.5 ათ.ლარი. 8) განათების ხარჯებში 61 ლარი. 9) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებში 886 ლარი, 10) სხვა ხარჯები კულტურის ხაზით2.5 ათ.ლარი. 11) სოფლის საექიმო ამბულატორიების მომსახურების ხარჯებში 784 ლარი. ასევე დაემატა წყლის სისტემის რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას ვალდებულებებიდან დარჩენილი 943 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის 175 განკარგულებით 1 იანვრისთვის არსებული ნაშთი 148166 დაემატა: 1)ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის,რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში 100196 ლარი, 2) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა შენახვის ხარჯებში 39539 ლარი,3) სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯებში 8430 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის 39 განკარგულებით 141057 ლარით გაიზარდა: 1) გზები 59476 ლარი, 3)წყლის რეაბილიტაცია 72677 ლარი, 3) სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯები 8904 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 34 განკარგულებით და 471 განკარგულებით 2014წელს გამოყოფილი 152324 ლარი დაემატა: 1) გზები 71979 ლარი, 2) წყლის რეაბილიტაცია 80345 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გასული წლის ნაშდიდან განაწილდა 1013275 ლარი.

ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 2 598.2 ათ. ლარს.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის გადასახდელებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დამტკიცებულთან შედარებით შემცირდა 153.0 ათ. ლარით;

მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები შემცირდა 6.5 ათ. ლარით;

მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები შემცირდა 72.3 ათ.ლარით;

- თავდაცვის ღონისძიებები შემცირდა 7.8 ათ.ლარით;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა 3557.0 ათ. ლარით; მ.შ:

– გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა–შენახვის ხარჯები გაიზარდა 1604.4 ათ.ლარით;

– დასუფთავების ღონისძიებები გაიზარდა 3.5 ათ.ლარით;

– ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდა შემცირდა 1,4 ათ. ლარით;

– შპს „საგარეჯო“ სუბსიდია გაიზარდა 106.0 ათ. ლარით;

– წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 513.7 ათ.ლარით;

– 152.7 ათ. ლარით გაიზარდა გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები;

– სტადიონების და სპორტდარბაზების რეაბილიტაცია რეკონსტრუქციის ღონისძიებები გაიზარდა 671.5 ათ.ლარით.

– სანიაღვრე არხების აღდგენა გაიზარდა 147.1 ათ.ლარი.

– სკვერების, დასასვენებელი პარკების, მოსაცდელების რეაბილიტაცია და მოვლა პატრონობის ღონისძიებები გაიზარდა 600 ლარით;

– კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გაიზარდა 293.7 ათ. ლარით;

– ა.ი.პ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურბაქტეროლოგიური კვლევის ცენტრი“-ს სუბსიდია შემცირდა 82.4 ათ.ლარით.

– სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 62.5 ათ. ლარით.

– საგანმანათლებლო ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯები შემცირდა 51.3 ათ. ლარით, რაც გამოწვეულია არაფინანსური აქტივების შემცირებით;

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 58.0 ათ. ლარით;

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები შემცირდა 32.3 ათ. ლარით.

– საშემოსავლო ნაწილის შესრულება შემოსავლის ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

– საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულდა 87%-ით და შეადგენს 260.4ლარს (გეგმა 300.0 ათ.ლარი);

– ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 62 %–ით და შეადგენს 783.1 ლარს(გეგმა 1265.0 ათ.ლარი);

მათ შორის:

ა)საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა -219%–ით და შეადგენს 657.7ლარს, (გეგმა 300.0 ათ.ლარი);

ბ) სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 17%–ით და შეადგენს 141.5 ათ.ლარს (გეგმა 850.0 ათ.ლარი);

– სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტების გეგმა შესრულდა 87%–ით, კერძოდ, გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 1620.5 ათ.ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 105.0 ათ.ლარი, სულ 85%.(გეგმა 2041.4 ათ.ლარი შესრულება 1725.5 ათ.ლარი)

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 117%–ით, (გეგმა 537.1 ათ.ლარი, ფაქტი 626.2 ათ.ლარი);

კერძოდ:

– შემოსავალი პროცენტებიდან შემოსულია 60.7 ათ.ლარი (გეგმის 121% (გეგმა 50.0 ათ.ლარი)).

რენტა შესრულდა 174%-ით, (გეგმა 158.1 ათ.ლარი, ფაქტი 274.7 ათ.ლარი);

– მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 268.8 ათ.ლარი, 176 % (გეგმა 153.1ათ.ლარი);

– შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან შემოსულია 5.9 ათ. ლარი, 117 %(გეგმა 5.0 ათ.ლარი);

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 72%–ით (გეგმა 42.0 ათ.ლარი, ფაქტი 30.1 ათ.ლარი);

- ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელები 70%–ით (გეგმა 39.0ათ. ლარი, ფაქტი 27.5ათ.ლარი);

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 87 %–ით და შეადგენს 2.6 ლარი, გეგმა 3.0 ათ.ლარი;

ე) ჯარიმები, სანქციები და საურავები 91%–ით (გეგმა 287.0 ათ.ლარი, ფაქტი 260.2 ათ. ლარი);

– არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა 50.0 ათ.ლარი შესრულება 19.9 ათ.ლარი. (შესრულება 40%)

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

### 21 აგვისტო, 2017 წელი

**გაგრძელება**

საგასავლო ნაწილის შესრულება ასეთია:

– მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 978.1 ათ.ლარი, ანუ გეგმიური 979.9 ათ.ლარის 99%.

– თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 52.4 ათ.ლარის 98%, ანუ 51.2 ათ.ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსდა გეგმიური 1183.4 ათ.ლარის 88%–ით ანუ 1 040 344 ლარით. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 95%-ით (გეგმა 919.4 ათ.ლარი, ფაქტი 877 586 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 59%-ით (გეგმა 232.1 ათ. ლარი, ფაქტი 138.0ათ. ლარი).

– კერძოდ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 157.1 ათ. ლარის 57%, ანუ 88.9 ათ. ლარი.

– კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა 792.9 ათ. ლარი (92%) ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 857.5 ათ.ლარისა. მათ შორის:

წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებს მოხმარდა 188.5ათ. ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 88 % (გეგმა214.0 ათ.ლარი).

- ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ გახარჯულია 87.5 ათ. ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 100% (გეგმა 87.6 ათ. ლარი).

- გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 206.4 ათ. ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 97 % (გეგმა 211.5 ათ.ლარი). მათ შორის გახარჯული საქონელი და მომსახურებაზე 176.6 ათ. ლარს, არაფინანსური აქტივების 34.7 ათ. ლარიდან ათვისებამ შეადგინა 29.8 ათ.ლარი.

- გარემოს დაცვითი ღონისძიებები დაფინანსდა 310.4 ათ. ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 90% (გეგმა 344.4 ათ.ლარი). მათ შორის 1)დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსებულია 212.7 ათ. ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 86% (გეგმა 246.0 ათ.ლარი). 2) სანიაღვრე არხების აღდგენას მოხმარდა 9.0 ათ. ლარი. 3) შ.პ.ს „საგარეჯო „ დაფინანსდა 88.7 ათ.ლარით, გეგმა 88.8 ათ.ლარი 100%.

- სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 2.4 ათ. ლარი (100%) გეგმა 2.4 ათ.ლარი.

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 156.1 ათ. ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 94 % (გეგმა 166.4 ათ.ლარი). მ.შ

- სპორტული მოედნების მოწყობა- რეაბილიტაცია გეგმა 33.4 ათ.ლარი, შესრულება 29.0 ათ.ლარი.(87%)

- სკვერების ბაღების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია – გეგმა 1.4 ათ.ლარი, შესრულება 0.8 ლარი (57%).

- კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გეგმა – 131.6 ათ.ლარი, შესრულება 126,4 ათ.ლარი (96%).

– საგანმანათლებლო ღონისძიებები დაფინანსებულია 97%–ით (გეგმა 997.5ლარი, ფაქტი 967.9ლარი; მათ შორის ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინასებულია 99%–ით (გეგმა 869.1 ათ.ლარი, ფაქტი 857.3 ათ. ლარი); ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 33.4 ათ. ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 99% (გეგმა 33.7 ათ.ლარი). სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში გეგმა 600 ლარი, შესრულება 600 ლარი.

– სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები დაფინასებულია 94%–ით საკუთარი შემოსავლების ჩათვლით(გეგმა 602.3 ათ.ლარი, ფაქტი 568.1 ათ.ლარი), მათ შორის სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 269.9ათ. ლარი, გეგმიურის 92% გეგმა (293.1 ათ.ლარი), კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 277.7 ათ. ლარი, გეგმიურის 96% (288.7 ათ.ლარი), საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 9.1 ათ. ლარი, გეგმიურის 100 % გეგმა 9.1ათ.ლარი, საგამომცემლო საქმიანობაზე დაიხარჯა 11.3ათ. ლარი, გეგმიურის 100 % გეგმა 11.3 ათ.ლარი.

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 99%–ით (გეგმა 480.3 ათ. ლარი, ფაქტი 475.3 ათ. ლარი); აქედან უფასო სასადილოები დაფინასდა 77.4 ათ.ლარით, გეგმა 77.5 ათ.ლარი (99%) (230 ბენეფიციარზე);

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინასდა 43.9 ათ ლარით, გეგმა 45.1ათ.ლარი (97%); სოფლის ამბულატორიების მომსახურება დაფინანსდა 1.3 ათ. ლარით, გეგმა 2.1 ათ.ლარი (62%).

– უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 311.8 ათ. ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 100%-ით, კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება დაფინანსებულია 72.9 ათ. ლარით (გაცემულია 729 ოჯახზე), მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გაცემულია 4600 ლარი (გაცემულია 23 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა მკურნალობა/რეაბილიტაცია დაფინანსდა 165.2 ათ.ლარით, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტების დაფინანსებამ შეადგინა 51.9 ათ.ლარი. დაკრძალვის ხარჯი გაცემულია 6.0 ლარი (გაცემულია20 ოჯახზე), 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულებზე 1200 ლარი (ფულადი საჩუქარი), დიალიზზე მყოფი მოქალაქეების დახმარების ხარჯი -9800 ლარი (17 მოქალაქე);

– დედმამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1500 ლარით (5 ბენეფიციარი);

– ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1100 ლარით (გაცემულია 3 ოჯახზე);

– მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 900 ლარით, გეგმა 900 ლარი. (გაცემულია 7 ბენეფიციარზე);

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 3100 ლარით.

– ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა დაფინანსდა 4440 ლარით (99%).

– ვეტერანთა დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 3050 ლარით, გეგმა 4000 ლარი, (76 %).

– სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაცია გაცემულია 14.8 ათ.ლარი, გეგმის 100%.

– მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 900 ლარი.

– სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 11122 ლარით, კერძოდ სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ -3.8 ათ. ლარი, ეკონომიურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო სურსათის ამანათების გადაცემა დაფინანსდა 7.2ლარით (500 სოციალურად დაუცველი),დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრების მემორიალის შესამკობად გვირგვინის შეძენა 140 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯვა მუხლების მიხედვით ასეთია:

– შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 755.2ათ.ლარი (100%);

– საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 700.3 ლარის 94% გეგმა 745.9 ათ. ლარი;

– პროცენტი შეადგენს 739 ლარს (100%);

– სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 1682.1 ათ. ლარის 98 % ა გეგმა 1710.9 ათ. ლარი;

– სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 99 %–ით (გეგმა 338.6 ათ.ლარი, ფაქტი 335.8 ათ. ლარი);

– სხვა ხარჯები შეადგენს გეგმიური 57.8 ათ. ლარის 93% ანუ 53.9 ათ. ლარს;

– არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა გეგმიური 678.6 ათ.ლარის ნაცვლად 544.0 ათ.ლარით ანუ 80%–ით.

– ვალდებულებების კლებამ შეადგინა 8.1 ათ. ლარი (100%).

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 39.8 ათ. ლარი, გახარჯულია 26.9 ათ. ლარი, მათ შორის კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილია 39.8 ათ. ლარი, 2017 წლის 26 თებერვლის და 20 მარტის სტიქიის შედეგად დაზიანებული,საგარეჯოში, სოფ.თოხლიაურში,ნინოწმინდაში მცხოვრებ მოსახლეობაზე საცხოვრებელი სახლის სახურავების აღდგენისათვის გაიხარჯა4.1 ათ.ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაგეგმილი რვა ოჯახისათვის მოხდა დახმარება და სამშენებლო მასალების შესყიდვა 13.5 ათ.ლარის,2017 წლის 7 მაისისი სტიქიის შედეგად დ/ჩაილურში მცხოვრებ ეკატერინე კირაკოზაშვილისთვის საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება დაფინანსდა 3.0 ათ.ლარი, 2017 წლის 10 ივნისის სტიქიის შედეგად საგარეჯოში მარჯანიშვილის ქ. 16-ში მცხოვრები მაია თამაზაშვილის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებაზე გამოყოფილია 12.0 ათ.ლარი

დღის წესრიგის III საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს დასახლების საერთო კრების მიერ წარმოდგენილი პეტიციის „სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ <u>ელდარ მეფარიძემ.</u>***

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად ადგილების განსაზღვრის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ <u>ალექსანდრე მეზვრიშვილმა</u>***. განხილული საკითხის შემდეგ საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად შემდეგი ადგილები განისაზღვროს:

ა. კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი,გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

დ. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე – სამი მეტრის სიმაღლეზე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არა უმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.

ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მატი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შსემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობისა.

საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა იმ ფორმით, რომ დაცული იყოს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არა უმეტეს 42სმ ( 2 ფორმატი);

ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით, არაუმეტეს 1 (ერთი) ცალით.

– აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა: საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის №9), სასამართლოს (მის: ქ. საგარეჯო, ნ.ფიროსმანის ქ. №7); პროკურატურის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი №10); სამხედრო შენაერთებისა (მის: სოფ. მუხრანის სამხედრო ბაზა; სოფელ პალდოს სამხედრო ბაზა) და პოლიციის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი №10) შენობების ინტერიერისა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწებისათვის სკვერის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ <u>ელდარ მეფარიძემ.</u>***

როგორც მან აღნიშნა, დროებითმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის თავმჯდომარეც თავად იყო (ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: ნიკოლოზ ნაცვლიშვილი, ვეფხია ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე მეზვრიშვილი, ზურაბ ქურთიშვილი, ივანე ბეჟიაშვილი) ქალაქ საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში შეძლებისდაგვარად მოიძია ყველა ის ტერიტორია, რომლებსაც შეიძლებოდა სკვერების, ტყეპარკის სტატუსი მინიჭებოდა. ზოგიერთს ჰქონდა სკვერის, სტადიონის დატვირთვა,

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

**დასასრული**

მაგრამ შესაბამისი სტატუსი არ გააჩნდა. ეს კი ხელს უწყობდა მათი გასხვისების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, ზოგიერთ სოფელში სკვერისთვის შესაბამისი ტერიტორიები ან ყოფილი სკვერები საკითხის შესწავლის შემდეგ გასხვისებული აღმოჩნდა. გასხვისებულია ქ. საგარეჯოში, ქურდიანის ძეგლის მიმდებარე სკვერიც. სამუშაო ჯგუფის მიერ მოძიებული დოკუმენტაციის მიხედვით სკვერები აშკარად კანონდარღვევითაა გასხვისებული. ამასთან, ირღვევა მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, რაც სავსებით შესაძლებელს ხდის სკვერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნებას.

დროებითმა სამუშაო ჯგუფმა თხოვნით მიმართა გამგეობას, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული სკვერების დასაბრუნებლად, ჩამოთვლილი ტერიტორიებისათვის სტატუსის მინიჭებისათვის მომზადდეს აზომვითი ნახაზები, რისთვისაც აუცილებელი იქნება მომავალი 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სკვერებისა და პარკების მოწყობისა და მოვლის ხარჯები.

აღნიშნული დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქ საგარეჯოში მოძიებული ტერიტორიები, რომლებსაც შეიძლება მიენიჭოს სკვერების, ტყე-პარკის ან სტადიონის სტატუსი, შემდეგია:

1. ქ. საგარეჯოში:

ა. მუზეუმთან არსებული სკვერი

ბ. რუსთაველის ქუჩაზე არსებული სკვერი

გ. რუსთაველის ქუჩაზე, ე.წ. ანუაშვილების ქუჩაზე არსებული სკვერი

დ. ჯაფარიძის ქუჩაზე არსებული სტადიონი და მიმდებარე სკვერი

ე. პირველი სკოლის ნაკვეთი ჭანტურიას ქუჩაზე

ვ. ე.წ. „ზვრების“ ტერიტორია

ზ. ერეკლე მეორისა და დ. აღმაშენებლის გადაკვეთაზე არსებული ტერიტორია (ყოფილი პროკურატურის შენობის ადგილი).

თ. კახეთის გზატკეცილზე არსებული ფიჭვნარი (ყოფილი სამების ქარხნიდან მევენახის სახლამდე).

ი. კახეთის გზატკეცილზე №10 კორპუსის მიმდებარე ნაძვნარი

კ. ქურდიანის ძეგლის მიმდებარე სკვერი

2. სოფ. უდაბნოში

სოფლის ცენტრში არსებული ტერიტორია

3. სოფ. შიბლიანში

არსებული სტადიონი, სოფლის ცენტრში ე.წ. „პაპას პარკი“

4. სოფ. პატარა ჩაილურში

ეკლესიის მიმდებარე სკვერი და ყველიერის ტერიტორია

5. სოფ. დიდ ჩაილურში

„ყველიერის“ ტერიტორია (სოფლის შესასვლელში)

6. სოფ. მანავში:

ა. ზემო მანავში არსებული მინი სტადიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია

ბ. ე.წ. „გილიანოვკაში“ ყოფილი საწყობის ტერიტორია

7. სოფ. თოხლიაურში

სოფლის შესასვლელში არსებული ნაძვნარი

8. სოფ. გიორგიწმინდაში:

ა. ჯამალაშვილებისა და მეკოკიშვილების უბანში არსებული ყოფილი სკვერის ტერიტორია

ბ. ე.წ. საბჭოს მიმდებარე ტერიტორია

გ. არსებული სტადიონი

9. სოფ ნინოწმინდაში:

ა. საფლავების ტერიტორია ე.წ. „შინმოუსვლელთა პარკი“

ბ. სოფლის ცენტრში არსებული სკვერი

გ. აჭარლების უბანში არსებული ტერიტორია

დ. ე.წ. წისქვილთან არსებული სტადიონი

ე. ე.წ. ზეთისსახდელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (არტეზიული ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორია)

10 სოფ. წყაროსთავი

ყოფილი „კიოსკის“ ტერიტორია

11. სოფ. პატარძეულში:

ა. უსტიაანთ უბნისა და ნავთობკომპანიის მიმდებარე ყოფილი ტყე-პარკი

ბ. სოფლის შესასვლელში ღვინის ქარხანასთან არსებული სტადიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია

გ. კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია

დ. ე.წ. ძველი სკოლა და ფიცხელაურების ნამოსახლარი

12. სოფ. ხაშმი

გამგეობის შენობის მიმდებარე სკვერი.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა**

### 30 აგვისტო, 2017 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა მხოლოდ ერთი საკითხი მოისმინეს – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა <u>სოფიო შაქარაშვილმა</u>*** წარმოადგინა. როგორც მან აღნიშნა: – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს დეპუტატებმა განიხილეს საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და შესაბამისი დადგენილებაც მიიღეს. ამჯერად კი ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დახმარების მიმდინარე წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცებისას ცვლილება შევა მუხლობრივად.

ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსების ქვეპროგრამა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა გაიზარდა 30 000 ლარით.

ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა გაიზარდა 30 000 ლარით.

ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა გაიზარდა 30 000 ლარით.

სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოროგრაფიის და ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსების ქვეპროგრამა გაიზარდა 10 000 ლარით.

პროექტის მიღება მოითხოვს არსებულ ბიუჯეტში ცვლილებებს, მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამის ბიუჯეტი მუნიციპალური ბიუჯეტის შესაბამისად გაიზარდა 100 000 ლარით.

პროექტის განსახორციელებლად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 799 000 ლარი.

სხდომაზე დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

---

## ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი

# ყანდაურის თემი



**თემში გამგებლის წარმომადგენელია <u>გია შენგელიძე</u>**

**თემში** შემავალი სოფლები: ზემო ყანდაურა, ქვემო ყანდაურა

**კომლი** – ზემო ყანდაურა –22

ქვემო ყანდაურა – 425

**მოსახლეობა** – ზემო ყანდაურა – 45

ქვემო ყანდაურა – 1311

**სასოფლო-სამეურნეო მიწები**

**სულ – 3001 ჰა**

**აქედან**

კერძო – 1731 ჰა

სახელმწიფო – 1270 ჰა

**სახნავი –**

სულ – 821 ჰა

**აქედან**

კერძო – 589 ჰა

სახელმწიფო – 232 ჰა

**მრავალწლიანი ნარგავები**

სულ – 272 ჰა

კერძო – 272 ჰა

**საძოვარი**

**სულ** – 1871 ჰა

**აქედან**:

კერძო – 833 ჰა

სახელმწიფო – 1038 ჰა

საკარმიდამო

სულ 37 ჰა

**აქედან**

**სახნავი** – 23 ჰა

**მრავალწლიანი ნარგავები – 14 ჰა**

**ინფრასტრუქტურა**

**2013 წელი**

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით **ყანდაურისთვის** 27230 ლარი იყო გამოყოფილი, ზემო ყანდაურისთვის – 2503 ლარი.

აღნიშნული თანხიდან შემოიღობა სოფლის სასაფლაო;

რემონტი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას.

ასევე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოები ჩატარდა ამავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში – მოხდა შენობაში სასმელი წყლის შეყვანა.

**ზემო ყანდაურაში** ჩატარდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, შეიცვალა წყლის მილი 500 მეტრის მონაკვეთზე.

**2014 წელი**

სანიაღვრე არხები მოეწყო სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე (აქ ჩაეწყო ე.წ. „ცემენტის ლატოკები“).

კეთილმოეწყო და რემონტი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამზარეულოს.

წვიმისა და თოვლის წყლისგან დამცავი საწვეთურები გაუკეთდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობას.

გაგრძელდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რკინა-ბეტონით შეკეთება და გამაგრება.

**2015 წელი**

**ყანდაურაში**, ე.წ. „გადასახედავის უბანში“ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოები ჩატარდა, რის შედეგადაც ამ უბნის 100-მა კომლმა სასმელი წყალი მიიღო.

დაიდგა წყლის ახალი შემკრები აუზი.

1 კმ მანძილზე დაიდგა 13 საუბნო ონკანი.

ამავე წელს მოხდა სოფლის მოსახლეობის გაზიფიცირება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ზემო ყანდაურაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების მოსაწესრიგებლად შეძენილ იქნა 2 ცალი მოტობლოკი.

**2016 წელი**

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით პროექტების განსახორციელებლად **ყანდაურისთვის** 28380 ლარი იყო გამოყოფილი, ხოლო **ზემო ყანდაურისთვის** – 4515 ლარი.

**ყანდაურაში** შემოიღობა სოფლის სპორტული მოედანი, გაკეთდა ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედანი.

ასევე, მოიხრეშა აღნიშნულ სპორტულ მოედნამდე მისასვლელი გზა;

სოფლის ცენტრსა და სკვერში მოეწყო გარე განათება

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოში მოეწყო გასართობი ატრაქციონები.

**ზემო ყანდაურაში** მოხდა სოფლის გზის მოხრეშვა.

ამავე სოფელში მთლიანად გაკეთდა გარე განათება.

2014-2015 წლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხით 849 ლარი) ყანდაურაში საუბნო წყლის რეაბილიტაცია.

**2017 წელი**

გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოები ჩაუტარდა ყანდაურის ე.წ. „გიქორაანთუბანში“ არსებულ სასმელი წყლის რეზინის მილს 900 გრძივ მეტრზე; გაკეთდა სასმელი წყლის სათავე.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ საუბნო წყლის რეაბილიტაცია ჩატარდება

„გადასახადების“ უბანში არსებულ ბოგირზე მოეწყო მოაჯირები.

სოფლების – **ყანდაურისა და ზემო ყანდაურის** მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად 2015 და 2017 წლებში ორჯერ ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევა, რომელშიც შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის მედიკოსები იღებდნენ მონაწილეობას.

## მუნიციპალური გვერდი

# იორმუღანლოს თემი



**გამგებლის წარმოდაგენელია <u>ნათიკ რასულოვი</u>**

**სოფლები** – იორმუღანლო, ქეშალო

**მოსახლეობა** – იორმუღანლო 2547 კაცი

**ქეშალო** – 3953 კაცი

**კომლი** – იორმუღანლო – 418

ქეშალო – 698

**მიწის ფართობი**

სულ 2660 ჰა

**აქედან:**

კერძო – 314 ჰა

სახელმწიფო – 2346 ჰა

**სასოფლო-სამეურნეო მიწები**

**სულ – 2102 ჰა**

**აქედან:**

კერძო – 314 ჰა

სახელმწიფო – 1788 ჰა

**სახნავი**

**სულ – 1234 ჰა**

აქედან:

კერძო – 1234 ჰა

**საძოვარი**

**სულ – 660 ჰა**

სახელმწიფო – 445

**მრავალწლიანი ნარგავები**

**სულ – 208 ჰა**

**აქედან:**

კერძო – 208 ჰა.

**<u>ინფრასტრუქტურა</u>**

**„სოფლის მხარდაჭერის“**

**პროგრამა**

**2014 წელი**

**იორმუღანლო** – სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა – 35 ათასი ლარი

**ქეშალო** – სასაფლაოს ტერიტორიაზე მოსაცდელის მოწყობა – 14 ათასი ლარი

სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა – 45185 ლარი

**<u>2015 წელი</u>**

**იორმუღანლო** – სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 42122 ლარი

**დუზაგრამიდან** ე.წ. „სოკარის წყლიდან“ სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გაყვანა (ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, **ქეშალო**, თულარი – 250.931 ლარი

**<u>2016 წელი</u>**

**იორმუღანლო** – სასაფლაოს შემოღობვა – 7459 ლარი

მოსაცდელის მოწყობა – 6150 ლარი

არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა – 4274 ლარი

აშენდა იუსტიციის სახლი

**გარე განათება –** მოეწყო იორმუღანლოსა და ქეშალოში

**ქეშალო** – სარწყავი არხის გაწმენდა – 5468 ლარი

შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 22480 ლარი

ორი მოსაცდელის მოწყობა – 12763 ლარი

**<u>2017 წელი</u>**

სოფელ **იორმუღანლოში** მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა

შიდასასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ასფალტის საფარის მოწყობა სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე. სანიაღვრე არხების მოწყობა.

# ლამბალოს თემი

**გამგებლის წარმომადგენელი <u>რიზვან მამედოვი</u>**



**სოფლები** – ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო

**მოსახლეობა**

ზემო ლამბალო – 4402 კაცი

ქვემო ლამბალო – 4532 კაცი

**კომლი**

ზემო ლამბალო – 804

ქვემო ლამბალო – 808

**მიწის ფართობი**

**სულ – 2098 ჰა**

**აქედან:**

კერძო – 314 ჰა

სახელმწიფო – 1784 ჰა

**სასოფლო-სამეურნეო მიწები**

**სულ – 1752 ჰა**

**აქედან:**

კერძო – 314 ჰა

სახელმწიფო – 1438 ჰა

**სახნავი**

სულ – 979 ჰა

კერძო – 974 ჰა

**საძოვარი**

სულ – 598 ჰა

**აქედან:**

სახელმწიფო – 598 ჰა

**მრავალწლიანი ნარგავები** – 175 ჰა

კერძო – 175 ჰა

**<u>ინფრასტრუქტურა</u>**

**„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**

**<u>2014 წელი</u>**

**ზემო ლამბალო** – სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია 39714 ლარი

სოფლის ადმინისტრაციული შენობის შემოღობვა – 17721 ლარი

**ქვემო ლამბალო** – შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია – 14083 ლარი

შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია – 49068 ლარი

**ლამბალო** – სარწყავი წყლის სათავენაგებობის მოწყობა – 9670 ლარი.

**<u>2015 წელი</u>**

დუზაგრამიდან ე.წ. „სოკარის წყლიდან“ სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გაყვანა (ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, ქეშალო, თულარი – 250.931 ლარი

**<u>2016 წელი</u>**

**ზემო ლამბალო** – შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 11807 ლარი

– სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 8200 ლარი

**ქვემო ლამბალო** – სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 41537 ლარი

**ქვემო ლამბალო, ზემო ლამბალო**, თულარი, იორმუღანლო – ე.წ „სოკარის წყლის“ რეაბილიტაცია – 82876 ლარი

**რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები**

**<u>2014 წელი</u>**

სოფლების – თულარისა და **ლამბალოს** დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია – 136999 ლარი

# თულარის თემი



**ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი <u>იქრამ ბაირამოვი</u>**

**სოფლები**: თულარი, კაზლარი

**მოსახლეობა**:

თულარი – 4297 კაცი

კაზლარი – 1752 კაცი

**კომლი** – თულარი – 1115

კაზლარი – 403

**მიწის ფართობი**

**სულ – 20000 ჰა**

**აქედან:**

კერძო – 177 ჰა

სახელმწიფო – 19823 ჰა

**სასოფლო-სამეურნეო მიწები**

**სულ** – 1851 ჰა

**აქედან**:

კერძო – 177 ჰა

სახელმწიფო – 1674 ჰა

**სახნავი**

**სულ – 1071 ჰა**

**აქედან**

კერძო – 964,3 ჰა

სახელმწიფო – 107 ჰა

**საძოვარი:**

**სულ – 760 ჰა**

**აქედან:**

კერძო – 120 ჰა

სახელმწიფო – 640 ჰა

**მრავალწლიანი ნარგავები**

**სულ – 120 ჰა**

კერძო – 120 ჰა

**ინფრასტრუქტურა**

**2014 წელი**

**„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა**

**თულარი** – სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 35978 ლარი

ჭაბურღილის საქაჩი ნასოსის შეძენა – 1500 ლარი

ჭალის ცენტრალური გზის მოხრეშვა – 25000 ლარი

**კაზლარი** – სოფლის ცენტრალური და შიდა გზების რეაბილიტაცია – 25000 ლარი

სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 7372 ლარი

**2015 წელი**

**კაზლარი** – ივრის ხეობის ნაპირსამაგრის რეაბილიტაცია – 32612 ლარი

დუზაგრამიდან ე.წ. „სოკარის წყლიდან“ სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გაყვანა (ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, ქეშალო, **თულარი** – 250.931 ლარი

**2016 წელი**

**თულარი** – სავარგულებამდე სადრენაჟო სისტემის მოწყობა – 11308 ლარი

შიდასასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 14089 ლარი.

**კაზლარი** – სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობე შენობის აშენება – 29263 ლარი

**რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით**

**2017 წელი**

**სოფლების** – დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – 839158 ლარი

2014-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხებით

**2017 წელი**

**თულარში** – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები – 14701,93 ლარი

## ინფრასტრუქტურა-2017

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვან სოფლებში მიმდინარეობს 2,6 კილომეტრიანი გზის სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის მოასფალტება***

***პროექტი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ და მოასფალტების სამუშაოებისთვის 660 000 ლარი არის გამოყოფილი.***

***აღნიშნული პროექტი, ეტაპობრივად განხორციელდა. 2016 წელს მოასფალტდა 2,5კმ , წელს კი დასრულდება გზის დარჩენილი მონაკვეთი.***



განათლება

# მუნიციპალიტეტის სკოლებში ახალ სასწავლო წელს ეგებებიან

**15 სექტემბერს** *ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ახალი სასწავლო წლის დაწყებისას სხვებთან ერთად ათასობით გარეჯელი მოსწავლე შეაღებს თავიანთი სკოლის კარს. მ.შ. ზოგიერთი პირველად თავის ცხოვრებაში.*

*თუ რა სამზადისი მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახვედრად და ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ნორმალური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, ამ და სხვა საკითხების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს ქ-ნ* __მანანა ცუცქირიძეს.__

– მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სივრცე სულ 26 საჯარო სკოლას მოიცავს. აქედან 22 ქართულენოვანი, ოთხი კი აზერბაიჯანულენოვანია, – გვითხრა მან, – დამთავრდა თუ არა გასული სასწავლო წელი, ჩვენს სკოლებში აქტიურად გაიშალა ახალი წლისათვის სარემონტო-მოსამზადებელი სამუშაოები. ამის შედეგად ჩვენი მოსწავლეების სამსახურში ჩადგა ხუთი ახლადგარემონტებული სკოლა. ზოგან კი კოსმეტიკური სახის რემონტები ჩატარდა.

განსაკუთრებით მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა იორმუღანლოს საჯარო სკოლაში, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სკოლის ახალ სამსართულიან შენობას, მოეწყო ჭაბურღილი წყლის მისაღებად, ასევე გაკეთდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. სამუშაოები უკვე დაწყებულია „მილენიუმის" პროგრამით საგარეჯოს მეორე, კაკაბეთისა და პატარძეულის სკოლებში და იმედია მშენებლები დათქმულ ვადებში შეძლებენ მათ დასრულებას. რაც შეეხება ამასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს, ამის შესახებ ჩვენ ადრეც გვქონდა საუბარი და ამის შესახებ მკითხველის ყურადღებას მეტად აღარ გადავღლი.

– სადღეისოდ რამდენი მოსწავლეა მუნიციპალიტეტის 26 საჯარო სკოლაში?

– ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენს საჯარო სკოლებში ირიცხება 7540 მოსწავლე, მათ შორის 4720 ქართულენოვან, 2840 კი – აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ რეკორდსმენი იორმუღანლოს საჯარო სკოლაა, სადაც 1300 მოსწავლეა. 977 მოსწავლეა ლამბალოს საჯარო სკოლაში, 654 – საგარეჯოს პირველ, 520 – მეოთხე, 340 მოსწავლე დუზაგრამის საჯარო სკოლაში და ა.შ.

***– რას გვეტყოდით ჩვენი პედაგოგების პროფესიული დონის, ჯილდოების შესახებ?***

– მინდა გითხრათ, რომ განათლების სისტემაში ჯილდოების გადაცემის ძველი სისტემა შეიცვალა და ახალ სქემას არ ეთანადება. ახალი ჯილდოების მფლობელები კი ჯერჯერობით არ გვყავს. ამის მიუხედავად, ჩვენ მრავლად გვყავს ტრენინგგავლილი და სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომელთაც ძალუძთ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე საგაკვეთილო პროცესის წარმართვა და მოსწავლეთათვის სათანადო ცოდნის მიწოდება.

***– წელს რამდენი პირველკლასელი გვყავს?***

– წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში აღრიცხული გვყავს 720 პირველკლასელი, რომლებსაც სკოლებში მზრუნველ მასწავლებლებთან ერთად ახალი სახელმძღვანელოები, ნოუთბუქები და ლამაზი ინდივიდუალური მერხები ელოდებათ. ფეხბედნიერი ყოფილიყოს მათთვის პირველი ნაბიჯები!

***– მოსწავლეთა ახალი ნაკადის შემომატებასთან ერთად, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს სკოლის კედლებთან გამომშვიდობებაც მოუწევთ...***

– ახალი სასწავლო წლისთვის ჩვენს საჯარო სკოლებში 394 მეთორმეტეკლასელს ითვლიან, რომლებსაც სწავლის დასრულების შემდეგ სასწავლო დაწესებულებებთან დამშვიდობებაც მოუწევთ. თუ რა შედეგებით დატოვებენ სკოლის კედლებს და როგორი მოქალაქეები იქნებიან ისინი, ამას მომავალი დაგვანახებს.

***– ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადი და განახლებადია. ამ სასწავლო წლისათვის თუ გყავთ ახალბედა, დამწყები პედაგოგები, რომლებიც შემდგომ თავიანთი წინამორბედების საქმეს გადაიბარებენ?***

– მიგიხვდით, თქვენ ალბათ გინდოდათ მათთან გასაუბრება, ინტერვიუს აღება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ სასწავლო წლისთვის ასეთი პედაგოგები ჯერჯერობით არ გვყავს.

# იორმუღანლოელი ბავშვები სწავლას რეაბილიტირებულ სკოლაში შეუდგებიან

**იორმუღანლოს** *საჯარო სკოლა ჩვენი მუნიციპალიტეტის ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც ახალი 2017-2018 სასწავლო წლისათვის სწავლას 1300-მდე მოსწავლე შეუდგება. ამ წლამდე მათ სწავლა ორ – ექსპლოატაციაში შარშან შესულ ახალ სასწავლო კორპუსსა და გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში აგებულ სამსართულიან შენობაში უწევდათ, რომლის წლების მანძილზე გაურემონტებელი საკლასო ოთახები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა სასწავლო პროცესზე წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. მიმდინარე სასწავლო წლისათვის კი ჩვენი აზერბაიჯანელი პატარებისათვის მთლიანად აღმოიფხვრა ეს ხარვეზები. შეწყდა თუ არა ამ კორპუსში გასული სასწავლო წელი, დაიწყო მთლიანი რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც უკვე მთლიანადაა დასრულებული და განახლებული იერ-სახით დახვდება აქ სასწავლებლად მოსულ მოსწავლეებს.*

– სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, – გვეუბნება სკოლის დირექტორის მოადგილე ვაგიფ ახმედოვი, – მთლიანად იცვალა იერ-სახე ჩვენი სკოლის ძველმა კორპუსმა. დაწყებული პირველი სართულიდან, მესამის ჩათვლით, ძირისძირობამდე მთლიანად შეიცვალა ყველაფერი, დერეფნებსა და საკლასო ოთახებში ძველის ნაცვლად დაიგო მეტლახის იატაკი, მოწესრიგდა და ასევე, მეტლახი დაიგო კიბის უჯრედებში, საკლასო ოთახებში მოეწყო შეკიდული ჭერები სათანადო ელექტროგანათებით, დერეფნებსა და კლასებში მოპირკეთდა და შეიღება კედლები. ყველა საკლასო ოთახში შეზიდულია მოსწავლის ახალი ინდივიდუალური მერხები. განახლებულია სამასწავლებლოც, სადაც ასევე მოეწყო შეკიდული ჭერი, სათანადო განათებით, დაიგო მეტლახის იატაკი, შეიღება კედლები.

***– სკოლის ვესტიბულის წინ შესანიშნავი სპორტული მოედანიც მოგიწყვიათ...***

– კი, როგორც იქნა ახდა ჩვენი სკოლის სპორტისმოყვარე მოსწავლე-ახალგაზრდების სურვილი და მათ ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი ექნებათ, სადაც მათ ჩვენი სპორტის მასწავლებლების მეშვეობით შეეძლებათ ფრენბურთის, კალათბურთის და სპორტის სხვა სახეობებში ვარჯიშისა და თამაშების ჩატარება. ამას გარდა, ამ არდადეგებზე მოგვარდა ერთი მეტად დიდმნიშვნელოვანი პრობლემაც, – მოეწყო წყლის ჭაბურღილი, საიდანაც მიღებული წყლის დებეტი საკმარისია სველი წერტილების სათანადოდ ფუნქციონირებისა და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ გასულ წელს სკოლაში ყველა საკლასო ოთახში და ასევე, დერეფნებში მოეწყო გათბობის სისტემა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მოსწავლეებს ყველა სათანადო პირობა აქვთ შექმნილი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სწავლა-განათლების მისაღებად.

***– 1300 მოსწავლე ცოტა როდია! სულ რამდენ საფინანსო კლასში გადანაწილდებიან ისინი?***

– სულ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლაში იფუნქციონირებს 54 საფინანსო კლასი, აქედან, ქართულ სექტორზე 13 და ამ 13 კლასში ქართულ ენაზე ისწავლის სკოლის 216 მოსწავლე.

***– მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობიდან რამდენი პირველი და მეთორმეტეკლასელია?***

– წელს სკოლის კარებს თავიანთ ცხოვრებაში პირველად შემოაღებს 150 მოსწავლე, ხოლო დამამთავრებელი კლასების მოსწავლეა 37 ბავშვი, რომლებიც ორ კლასში არიან გადანაწილებული.

***– რამდენი მასწავლებლია დასაქმებული წელს სკოლის მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეზე, როგორია მათი პროფესიული ცოდნის დონე?***

– სულ სკოლის 1300 მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს სადღეისოდ 82 მასწავლებელი ემსახურება, რომელთა უმეტესობა საკმაო პროფესიული სტაჟისა და გამოცდილების მქონე მასწავლებელია. მათ გვერდით იზრდებიან სხვადასხვა ტრენინგგავლილი მასწავლებელთა ახალგაზრდა თაობები, რაც იმის გარანტიაა, რომ სკოლაში ზემოაღნიშნულ ახალ სასწავლო გარემოსთან ერთად სასწავლებლად მოსულ ჩვენს მოსწავლეებს არანაირი პრობლემები არ ექნებათ ცოდნის საფუძვლების დაუფლებაში.

*გოგი დაბახიშვილი*

## პირველკლასელი
# ცოდნის კარიბჭესთან



**15 სექტემბერს** პირველკლასელთა სიის ამოკითხვისას ერთი ნათელთვალება, თვალებში ჭინკებჩაბუდებული გოგონა თავისი გვარისა და სახელის ამოკითხვისას თამამად ადგება და მასწავლებელს უპასუხებს: – ვარ! თამამადო, ვამბობთ. დიახ! ჯერ ერთი, დიდი სიხარულით ელოდება სწავლის დაწყებას, მეორე – თავის პირველ მასწავლებელსაც იცნობს და კლასელებსაც. ის კი არა, მეოთხეკლასელთა საზეიმო გამოშვებაზე სიმღერაც შეასრულა და თავის წინა თაობის მოსწავლეებსაც გაეცნო, მესამეც – ნიჭიერია, მღერის, ცეკვავს, ულამაზესი ლექსები იცის... თამამად გამოდის მსმენელთა წინაშე – თბილისში, მთაწმინდის პარკში, საგარეჯოში ქალაქის პარკის ღია სცენაზე...

მარიამ აგულაშვილი სულ ექვსი წლისაა... ამ ექვს წელიწადში კი ბევრი რამის შესწავლა შეძლო – ცელქობაც, ასამდე თვლა, მიმატება, გამოკლება, წერა-კითხვაც, ირინა ბაირამაშვილის სტუდიაში პერსპექტიული მომღერლის სახელის მოხვეჭა, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სინათლეში" თავის გამოჩენა, უამრავი მეგობრის შეძენა, თავისი საკლასო ოთახის გაცნობაც... და კიდევ, ჭადრაკის წრეზე დადის პატარა დაიკო – ნინისთან ერთად.

მარიამი კარგა ხანია ემზადება სკოლაში მისასვლელად. სამზადისიც ამას ჰქვია. წუნს ვერაფერში შეიტან, ვერც წერა-კითხვაში, ვერც თვლაში, ვერც ცეკვა-სიმღერაში, აზროვნებაში. ხო, ყველაფერ ამასთან ერთად ხატვაც უყვარს და ხელგარჯილობაც.

ასე, რომ საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლას და პირველი კლასის მასწავლებელს გიული გრძელიშვილს მართლაც სანაქებო მოსწავლე ეყოლება.

მარიამთან ერთად ყველა პირველკლასელს ვულოცავთ სწავლის დაწყებას.

## პედაგოგობის 45 წელი
# ჯავახეთიდან უდაბნოში



**ისტორიული** ჯავახეთის ულამაზესი მთებისა და იშვიათი ბუნების შვილია. ბავშვობიდანვე დაინტერესდა თავისი ქვეყნისა და კუთხის ისტორიით. იცოდა, რაღაც შეუცნობელსა და საინტერესოს მალავდა ჯავახეთის მიწის თითოეული გოჯი, კლდეზე წამომართული ციხის ნაშალი. ამიტომაც, მამის უჩუმრად სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის არქეოლოგიურ განყოფილებაზე ჩააბარა გამოცდები... საიდუმლო გამჟღავნდა და მამამ აიძულა, განსხვავებული გამოცდები ჩაებარებინა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადაატანინა სწავლა. პარალელურად, ახალქალაქის რაიონის სოფელ გომანის სომხური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ახლა იხსენებს – ჩემზე ასაკით დიდი მოსწავლეებიც მყავდა, მათ ქართულ ენას და ლიტერატურას ვასწავლიდიო. მესამე კურსზე იყო, კოთელიელ მევლუდ აჩელაშვილს რომ დაუკავშირა თავისი ბედი. შემდეგ სოფელ კოთელიას სკოლაში მუშაობდა.

უფროსი გოგონა უკვე სამი წლის იყო, 1981 წელს სოფელ უდაბნოში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად. კარგად ახსოვს, 25 სექტემბერს ჩამოვიდნენ, სწორედ აქ შეუსრულდა იმ დღეს 25 წელი და აქედან დაიწყო მისი ახალი ცხოვრებაც.

ჯავახეთის ზვიადი მთების შვილს პირველად გაუჭირდა გახრიოკებული, სიცხისგან გადამწვარი სოფლის ყოველდღიურობა.

დასასრული მე-7 გვერდზე

## სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში

# იქ, სადაც ბავშვებს მიუხარიათ

**ახალი** სასწავლო-სააღმზრდელო წლის პირველ დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 30 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კარს 1360 აღსაზრდელი შეხსნის. მათ მთელი წლის განმავლობაში 344 თანამშრომელი, მათგან 63 აღმზრდელი, 63 აღმზრდელის თანაშემწე, 12 ლოგოპედი, 12 ფსიქოლოგი, 19 მუსიკის მასწავლებელი, 5 მეთოდისტი და სხვამომსახურე პერსონალი მოემსახურება. 30 დაწესებულებიდან 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა სოფელ ლამბალოში.

მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო-სააღმზრდელო წელს. ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ ხდება ეზოების მოწყობა და სათამაშოების მონტაჟი. როგორც ცნობილია, ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი მანანა ასრათაშვილი) მიმდინარეობს შენობის რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და ამ პროექტის საერთო ღირებულება 227580 ლარია. შენობა 100 აღსაზრდელზეა გათვლილი (რეაბილიტაციის გამო აქ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 7 ოქტომბრიდან დაიწყება) ამასთან, შენობის რემონტი მიმდინარეობს შიბლიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (მენეჯერი თამარ ხუროშვილი), სადაც მთლიანად ამოიცვალა ამორტიზებული იატაკი, შენობას უკეთდება ასევე მიშენება.

ჯერ-ჯერობით პრობლემას წარმოადგენს კაკაბეთის №1 და №2 სკოლამდელი დაწესებულებების გამდინარე სასმელი წყლით მომარაგების საკითხი.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 18 სექტემბერს 30 აღსაზრდელზე გათვალისწინებული დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნება, რომელიც ახალ კეთილმოწყობილ შენობაშია განთავსებული.

მომავალ, 2018 წელს გათვალისწინებულია ლამბალო-იორმუღანლოს პატარებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ახალი შენობის მშენებლობა. ამავე წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (მენეჯერი მაია კოხტაშვილი).

მინდა ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება მივულოცო ყველა იმ პატარას, რომელიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში შეუდგება მეცადინეობას, ვუსურვო ჯანმრთელობა და მთელი სასწავლო-სააღმზრდელო წლის შინაარსიანად და ნაყოფიერად გატარება. გამოვთქვამ რწმენას, რომ იქ, სადაც პატარებს მიუხარიათ, მართლაც მათთვის საინტერესო და სახლისო დღეები ელოდებათ. ახალ სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენი გაერთიანების ყველა თანამშრომელს. წარმატებები არ მოჰკლებოდეთ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში.

*ელზა გილაშვილი,*

***აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების" დირექტორი.***

## პედაგოგობის 45 წელი

# ჯავახეთიდან უდაბნოში

**დასასრული**

აქ არც ბევრი სახლი იყო, არც ქუჩები... მათ ქუჩაზე მხოლოდ პოლიტპატიმრები თამარ ჩხეიძე და ანანიაშვილების ქალიშვილი ცხოვრობდნენ. ახალი სახლების საძირკვლებიც ჩაყრილი იყო, შენდებოდა, თანდათანობით ემატებოდა ქუჩებს სიგრძე, თავდაპირველად სულ რამდენიმე ქუჩაზე იყო სახლები – ცარიელი, მოსახლეობის მომლოდინეები.

ნელ-ნელა, მის თვალწინ შეივსო ქუჩები მოსახლეობით, ბავშვებით. სკოლაში, დაწყებითებში დაიწყო მუშაობა. უდაბნოს საშუალო სკოლაში სამი კომპლექსური კლასი ჰყავდა ერთდროულად, სულ 7 მოსწავლით. მეორე სემესტრიდან კი სოფელს მოსახლეობა შემოემატა, იმრავლეს ბავშვებმაც. თუმცა სამი წელიწადი სამ კლასში ერთდროულად ატარებდა გაკვეთილებს. 1985 წლიდან სკოლამ ახალმოსახლეობა იზეიმა. წლების მანძილზე უფრო მეტი და მეტი ახალმოსახლეები მიიღო უდაბნომ. მათ ოჯახსაც იმ წლებში ორი ქალიშვილი შეემატა.

უდაბნოს ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ ნაირა მურჯიკნელი და მისი მეუღლე მევლუდ აჩელაშვილი. მეუღლე უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე იყო სამნეო დარგში. ნაირა უდაბნოელი ბაშვების სწავლა-აღზრდით იყო დაკავებული. სულსა და გულს დებდა მათთვის ქართული ანბანის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ხელოვნების გასაცნობად. ეამაყება, რომ 45 წლის შრომითი სტაჟიდან 35 წელი უდაბნოელებს მოახმარა. ვესაუბრები აღზრდილების შესახებ და სიყვარულით და სიამაყით მესაუბრება თითოეულ მათგანზე. ზოგი ექიმია, ზოგი ჟურნალისტი, პედაგოგი და ყველა ერთად კი მისი თქმით, ძალიან, ძალიან კარგი ადამიანები, კარგი პიროვნებები.

შვილებიც, სამივე გოგონაც განათლებულები, თავიანთი პროფესიის ერთგულები არიან. რუსუდანიც და მისი ორივე დაც სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში არიან გათხოვილი. რუსუდანი ექიმია, მისი დები – ფარმაცევტები. ნაირა მასწავლებელი კი დღეს იმ კერაზე აღვივებს ცეცხლს, რომელზედაც 19 წლის წინ მეუღლემ დატოვა და თვითონ სამუდამო განსასვენებელში გადაინაცვლა. პატარა გოგონა მაშინ სამწლინახევრის იყო...

ახლა ნაირა მასწავლებელი მარტო ცხოვრობს. ეს ფიზიკურად, თორემ, სულაც არ არის მარტო. ფიქრები, მომავალი ახალი სასწავლო წლისთვის სულაც არ აძლევს მარტოობის შეგრძნების უფლებას.

– ძალიან მინდა, ჩემს მოსწავლეებს – მეოთხეკლასელებს, ჩემს ნამოსწავლარ მერვეკლასელებს და მეთორმეტეკლასელებს ერთად ერთი ღონისძიება ჩავატარებინო, რომელსაც საერთო სახელწოდება ექნება – „შორია გურჯისტანამდე". აქ გავაერთიანებ ჩემი ქვეყნის თანდათანობით დაკარგულ ნაწილებს, ქართველების გადასახლების, მშობლიური კერის მიტოვების ტკივილს, – მეუბნება ნაირა.

მანამდე, 15 სექტემბერს კი უდაბნოს მზით გარუჯული, უდაბნოელი მეოთხეკლასელი: მარი მურჯიკნელი, გიორგი ფირცხელანი, ნიკა ნანსყანი, ზურა გურჩიანი, ლუკა მურღულიანი, ჯაბა გვარამაძე და ლევან გულბანი შეხსნიან საკლასო ოთახის კარებს, გულში თბილად ჩაეხუტებიან ნაირა მასწავლებელს, მოუყვებიან ზაფხულის თავგადასავლებს, ერთად იმხიარულებენ, ერთად შეეჭიდებიან მეოთხე კლასის სახელმძღვანელოებს, ერთად გაიზრდებიან და ერთად შეისწავლიან ადამიანობას, ქართველობას, სამშობლოს სიყვარულს...

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, წარმატებებს გისურვებთ ნაირა მასწავლებელო, თქვენც და უდაბნოს საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს – თქვენი აღზრდილები ამაყად, იმედიანად დგანან საქართველოს ერთიანობის სადარაჯოზე, ერთგულად ემსახურებიან ქართულ ტრადიციებს და დაუღალავი შრომით აძლიერებენ კერიაზე საიმედოდ დანთებუ ცეცხლს.



ასეთი პატარები იყვნენ მაშინ პირველკლასელები

## უდაბნოს სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება

# მომზადებული ხვდება პატარებს



**გასულ** სასწავლო-სააღმზრდელო წელს უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი ნელი კორძაია) 35 აღსაზრდელი იყო ჩართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. მათგან ხუთს: ლევან გუჯეჯიანს, მარი ფირცხელანს, მათე გულბანს, ლიზი ჟორჟოლიანს, ცოტნე ცინდელიანს სკოლისაკენ დაულოცეს გზა აღმზრდელებმა. ახალ სასწავლო-სააღმზრდელო წელს კი 14 სასკოლო ასაკის აღსაზრდელი ეყოლებათ მოსამზადებელი. სულ კი დაწესებულებაში ორ ჯგუფში 42 აღსაზრდელი იქნება, რომელთა აღზრდაზე მენეჯერთან ერთად აღმზრდელი პედაგოგები ქეთევან ჩოკოშვილი და თამარ გულბანი, მათი თანაშემწეები, მედდა, მზარეულები, დამლაგებელი იზრუნებენ.

დაწესებულება ყველანაირად მომზადებული ხვდება ახალი სასწავლო სააღმზრდელო წლის პირველივე დღეს თვალმახარა უდაბნოელ პატარებს. ზამთრის თბობის სეზონისათვის მათ უახლოეს დღეებში შეშით მოამარაგებენ.





ეს გოგო-ბიჭები ახლა უდაბნოს საჯარო სკოლის პირველკლასელები არიან

№17(150) 2017 წელი, 1-15 სექტემბერი

# მილოცვა



შპს საგარეჯოს „გარეჯის“ საფეხბურთო კლუბის თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ **თემურ ხუციშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას.

# ახალი წიგნი

## ფიქრები როსტომ როსტიაშვილის ლექსების კრებულებზე: „კითხვისნიშნები მრავალწერტილით“, „ასი სადღეგრძელო – რესპუბლიკა ურუქი“.

*„კარგის ნერგის ხილი...*
*ხელოვანის მებაღის შეწვრთნილი...*
*ფრთხილის შენახვის ბარებული“*

სულხან-საბა ორბელიანი
„სიბრძნე სიცრუისა“

გამორჩეული წყვილის – გოგი (გიორგი) როსტიაშვილისა და ლამარა გოდერძიშვილის ოჯახმა ორი შვილი გაუზარდა ქვეყანას. გოგონა მარინე, გამორჩეული ექიმი პედიატრია; ვაჟმა, როსტომმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით 1976 წელს დაამთავრა.

ცოდნის ტაძარმა ნიჭიერ, წიგნიერ ახალგაზრდას კითხვა უფრო მეტად შეაყვარა... სამშობლოს ისტორიაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დააფიქრა...

დედაქალაქის სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობის შემდეგ ბედმა ისევ მშობლიურ საგარეჯოს დაუბრუნა. ივრის სანახებში – ბაღ-ვენახებსა და ჭალებში შრომამ, ფერმერულმა საქმიანობამ მიწის, ქართველი კაცის ლხინისა და ჭირის თანაზიარი ვაზის სიყვარული გაუმძაფრა, „მამული, ენა და სარწმუნოება“ – წმინდა ილია მართლის ბრძნული ტრიადა-შეგონება უფრო მეტად გაუსიგრძეგანა.

სამეურნეო საქმიანობამ უფაქიზესი სულის ახალგაზრდას, სულით პოეტს, ხელი ვერ შეუშალა ნაფიქრ-ნააზრევი ლექსებში გადაეტანა, სამშობლოს, საქართველოს, დღევანდელობასა და მომავალზე დარდი და წარსული ამოეკვნესა...

„ახალს ვერაფერს გეტყვით, ახალს არაფერს ვამბობ,
არ დაიჯერებთ ნებით – სამშობლოს ბედზე ვდარდობ,
არ დაიჯერებთ, რადგან მეც არა მჯერა მყარად –
მოწამლული ვართ რისგან, გასარკვევი გვაქვს სწრაფად.!
ტყუილი გვიჯობს მართალს, ბოროტება კი კეთილს,
შიში ადვილად გვმართებს, რწმენა არა გვაქვს ღმერთის!
***
სასაცილოა ჩვენთვის ერთგულება
და ძმობა.
სასაცილოა ბოლოს სიკეთით
სავსე გული,
ჩვენი ფიქრია მხოლოდ – ფული,
ფული და ფული.
***
თავზე დაგვნათის მთვარე,
ერთმანეთს ვჯობნით ომით...
ეზოს ვერაფრით გასცდა,
თვალსაწიერი ჩვენი...
***
... ნუთუ მართლაა ჩვენში თვითგანადგურების კოდი?!..“

როსტომი თავის ლექსებში ქუჩაში ჯოხით მიმავალ თვალებჩამქრალ მოხუცსაც ხედავს, რომელიც მკვდარ წარსულს ძალით მიათრევს, „ცალკეა მოხუცი, ცალკე ცხოვრება, ამას ვერ შეცვლის ვერც ვერაფერიო“... მაგრამ იმავე „ქუჩაზე წყვილი გადმოდის, ლამაზი გოგო, მაღალი ბიჭი, ხელში უჭირავთ სათუთად ჩვილი, ორივესა აქვს სიცილის ნიჭი“.




იმედიანი პოეტი ასკვნის:

„ქვეყანა არის მარადიული,
ახალგაზრდობა გვჯობია მართლაც“.

როსტომს სჯერა „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ (გ. დოჩანაშვილი) – ღმერთი თავად სიყვარულია და ადღეგრძელებს:

„ჩვენი სულების გამზრდელ ღმერთკაცებს,
(შევეხმიანოთ გაღმა ცურტაველს)
ხელოვნებასთან შეზრდილ ზეკაცებს,
და სულ ცალკე მდგომ –
შოთა რუსთაველს“.

როსტომი ადღეგრძელებს: ფიროსმანის გულის ვარამს, გამაოგნებელ ფერის პალიტრას“...

თავისუფლებას, იმ ღირსეულ კაცებს, ქვეყნის საამაყო შვილებს, რომლებიც, „ბრმად არ მისდევენ დაღიან ვაცებს“.

„ჭეშმარიტებას, მორალს, ზნეობას“, ქართული ხმებით ნათქვამ „ჰერიოს“;

„საგალობელთა გულით მოსმენას
და ჯვარზე გაკრულ ღმერთკაცის
ნებას...
დიდება უფალს! დიდება უფალს!
ჩვენ შენთან მოვალთ
დარჩენილ ვალით“...

ჩვენი დიდი პოეტი მუხრან მაჭავარიანი გვმოძღვრავს:

„წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
გმირობაა დიდი...“

ჩვენი ღრმა რწმენით, რამდენ წელსაც არ უნდა იცოცხლოს როსტომ როსტიაშვილმა, ის კაცად შერჩება წუთისოფელს.

*ლია ჭანკვეტაძე*

# ხანძარი მანავში



**29 აგვისტოს** სოფელ მანავში, მანავის ციხის ტერიტორიაზე ცეცხლი გამხმარ ბალახს მოეკიდა. ცეცხლმა თითქმის 2 ჰა მიწის ფართობზე არსებული ბუჩქოვანი მცენარეები გაანადგურა. ხანძრის დროულ ლიკვიდაციას აღნიშნული ადგილის რთული რელიეფური მდგომარეობა ართულებდა.

– ფერდობი ძნელადმისადგომი აღმოჩნდა როგორც სახანძრო ავტომანქანებისათვის, ისე ხანძრის ჩასაქრობად გამოსული მანაველებისათვის,– გვითხრა გამგებლის წარმომადგენელმა მანავში დიმიტრი საბაშვილმა – ხანძრის ჩასაქრობად საგარეჯოელ მეხანძრეებს გურჯაანისა და ახმეტის მეხანძრეებიც ეხმარებოდნენ. მეხანძრეებმა ცეცხლს „კალობნის ტყეში“ გადასვლის საშუალება არ მისცეს – მათ ყველანაირი ღონე იხმარეს მიუდგომელ ადგილებშიც კი და წყლით დაასველეს მიწის გარკვეული ზოლი. მინდა გითხრათ, რომ ხანძართან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მანაველებმა, რითაც თავიდან იქნა აცილებული მანაველთა კუთვნილ ვენახებში ხანძრის გავრცელება, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები.

# გამოსათხოვარი

## ჯამლეთ ბაბილაშვილი



**დაიბადა** 1942 წელს, საგარეჯოს რაიონში. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურისტის კვალიფიკაციით.

1971-1975 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1975-1977წწ. – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1977-1981წლებში – საგარეჯოს რაიონის პროკურორი; 1981-1986 წლებში – უზენაეს სასამართლოში ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის I მოადგილე; საქართველოს პროკურატურაში საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი; 1986-1990წწ. ქუთაისის პროკურორი; 1992-1993წწ. საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე; 1993 წლიდან საქართველოს გენერალური პროკურორი. ავტორია ოცდაათი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორისაა ორი მონოგრაფია.

საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის”, დაიცვა 1975 წელს.

1999-2002 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს რაიონიდან

გარდაიცვალა 2017 წლის 9 ივლისს.

***საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ყოფილი ბიუროს თანამშრომლები:***
*ნუგზარ იმედაშვილი,*
*დალი გუსარიშვილი,*
*მარინა იმედაშვილი*

# ჭადრაკის სამყაროში



**აიპ** „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ჭადრაკის წრეში (ჭადრაკის მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) მეცადინეობა ზაფხულში არ შეწყვეტილა. უმცროსი ასაკის ბავშვები ინტერესით ეცნობიან ამ ბრძნული თამაშის საიდუმლოებებს.

სურათზე: ირაკლი ქვლივძე (ცენტრში), ერეკლე ქურხული (მარცხნიდან), შიო შიოშვილი, ნინი აგულაშვილი, თათია თარიმანიშვილი, მარიამ აგულაშვილი, ნიკოლოზ ჩალათაშვილი და იოსებ დარბაისელი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru